

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსბან კეთილმან სული თვისი დაჰსდგეს ცხოვართათვის, (იოან. 10—11).


ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სხნარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედიო ჩემდა უოველნი მასურალნი და ტვირთ-მამიენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 11

1883—1893

1—15 ივნისს.



საქართველო  
საქართველო

### თავადი გიორგი ერისთავი ღ მისი მე საქარია.

თავადი გიორგი ერისთავი იყო შვილი რომანოზ ერისთავისა. დედა გიორგი ერისთავისა იყო მეფის გიორგის ასულის ანასტასიას შვილი. იგი დაიბადა 1812 წელს 12 თებერვალს. თავადი გიორგი სასწავლებელში შესვლამდე მშობლების ოჯახში იზრდებოდა და ოჯახშივე ჰქონდა მას ჩანერგილი გულში თავის მამულის და გეოგრაფიის სიყვარული. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო მან თბილისის «კეთილშობილთა სასწავლებელში». ხსენებული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეს ძალუღებურად უნდა აღერჩია სამხედრო ასპარეზი და გამგზავრებულყო უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში. თავადმა გიორგი ერისთავმაც სწავლა დაამთავრა პეტერბურლის სამხედრო სასწავლებელში. სწავლის დამთავრების შემდეგ მალე გამოიჩინა მან ნიჭი და მამაცობა სამხედრო წოდებაში და მამაცი მადლი მიიღო ღენარლობა და აღამანობა კავკასიის ყაზახის ჯარისა. მრავალს აღვილას ემასხურა იგი მამულს და სახელმწიფოს და ღირსეულადაც იყო დაჯილდოებული მთავრობისაგან. თანამედროვე ქართველი საზოგადოება ზედნიერად სთელიდა მას, როგორც აღამანს, დამსახურებულს, ღღი წოდების და მამულის პატრონს, მაგრამ მისი ზედნიერი ცხოვრება, როგორც საქმე გვიჩვენებს, სულ სხვაში მდგომარეობდა. ბერი რამ ჰქონდა მას დღეობილი გულში, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება სრულებით ვერ ამჩნევდა. გარდაიკვალა იგი შარშან წინ და თან ჩაიტანა ღიდის ხნის გულს ნადები ფიქრი გამოუტყვევებლად. თავად გიორგი რომანოზის ძეს დარჩა მემკიდრე ზაქარია, რომელმაც გამოაქვეყნა მამის გულისთქმანი და მტკიცედ აღასრულა ნანღერძივი განზრახვა...

ჩენ მრავალ პირთაგან მოგვიდა წერილები, რომლითაც გვთხოვენ ამ კთილ და ქველმოქმედ

პირთა ბიოგრაფიულ ცნობებს. ზოგიერთებს კიდევ არ სჯერათ, რომ ამდენა მამული შესწირა ბ. ზაქარია ერისთავმა თავდაზნაურობის სამეურნეო სკოლას. მართლადაც, ეს რაღაც იშვიათი მოვლენა ჩვენს გათახსირებულ ღროში და ქართველობაში, ჩვენ ეამბოთ ქართველობაში, თორემ სხვა ერავენებაში ამის თანა შესწირულება არავის არ ვაკვირებებს. ასი: თასის, ორასის და მეტისაც შესწირვა სხვა-და-სხვა საქველმოქმედო მიზნით სხვა თემებში ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენს ქართველობაში კი ისე გაცივებით და გავრილებით გული, რომ ცოტა რამ მოკლება, საქველმოქმედო მიზნით ცოლდეთ მიანჩიათ. კაცი თუ შვილებით დატვირთული არის და ღარიბი, ვინ დამრახავს მას, რომ არაფერი შესწირულება არ დასტოვოს! მაგრამ ჩენ ეხედეთ უშვილიძრო ქართველებს და ძალიან შემღებულეებსაც, რომელთაც გროშიც არ გაულიათ საქველმოქმედო მიზნით. აიღეთ, მაგალითად, ჩენ მიერ ზეცამღინ ამღლებული და ქებული მამულიშვილი გრიგოლ ორბელიანი, მდიდარნი და ღარბისეღნი თავადნი: ნესტორ წერეთლი, ღიმიტრი გურიელი, მეღიქოი და სხვანი. რა დასტოვებს მათ თავის სახელს მოსახსენებლად? სრულებით არაფერი. ზოგიერთები იტყოდენ ხოლმე სიკეღლის ღროს: ქართულათ დამმარხეთო (აღბათ ქართულ ტანისამოსში?) და ჰფუქრობდენ ღიდ დაეალებას უწევდენ ამით საქართველოს!...

ამისათვის ვიმორებთ: თ. ზაქარია ერისთავის შესწირულება შესანიშნავი რამ არის. სრული იმეღია, რომ ეს შესწირულება რიგან საუფუტეღვედ დაყენებული სასურველ ნაყოფს მოიტანს, ხოლო თავადნი გიორგი და ზაქარია ერისთავნი საუტყრო მოსახსენებულად დაშობენ ქართველ საზოგადოებაში. ნეტავი მათ, ვინაც საზოგადოებას უტოვებს თავის სახეს და სახელს სათაყვანოდ. ჩენი ეალია, ჩენი თანამომენო, ნიაღვ მოვისხენდღეთ კეთილის მყოფელთა ქველმოქმედთა თავის მომძეთა და მოყვასთა საკეთილდღეოდ. ღმერთმან ინებოს, გამარეღებულყო ჩენში ძველებურად, ჩენებურად მომძეთათვის გულშემბატვიარნი და სიქველით სახელგანთქმულნი პირნი.

დღი. დ. ღამაშიქ



### სოფლის რეფორმის ეკლესიის კურთხევა.

ხალხის კეთილ-დღეობისათვის, სწავლა-წარმატებისათვის, გონებრივ და ზნეობრივ გასაუმჯობესებისათვის სხვა საზოგადო კეთილ დაწესებულებათა შორის მიუცილებელია და უსაჭიროა ადგილი უჭირავს ეკლესიას და სკოლას. ეს ორი საგანი ისე საჭირო არის ჩვენ ქრისტიანთა სულისა და გონების ასაყვავებლად, როგორც სასამელი და საჭმელი არის საჭირო ჩვენი სხეულის საცოცხლებლად.

ჩვენ ბავშვობიდანვე ვზრუნავთ, რომ ჩვენი სხეულისათვის რაც შეიძლება სასამელ-საჭმელი მოვიპოვოთ კარგი და მარგებელი და მითი ავაყვავოთ ჩვენი სხეული, ხოლო სულისათვის, გონებრივი და ზნეობრივი გაუმჯობესებისათვის ბევრგან და ბევრჯერ დიდობისასაც ვაჩემებელი ვართ, გვავიწყდება რამაცხოვრის სიტყვები: «ნუ ზრუნავთ სულისა თქვენისათვის, რამა ჰქამათ და რამა ჰსვათ, ნურცა ხორცთა თქვენისათვის, რაი შეიძლოს».

ღამაზად შემოკობილი ეკლესია და რიგობად მოწყობილი სკოლა ისეთი ნიშანია სულის აყვავებისა—გამდიდრებისა და გონებრივ-ზნეობრივ წარმატებისა, როგორც დიდი ადგილ-მამული და ფული ნივთიერი გამდიდრებისათვის. ბევრს სოფელში შესვლებით მშვენიერ ორ-სართულიან ქვიტკარის და ხის სახლებს და სულ ადვილათ შეიძლება აქვე ნახათ თითქმის დაზგრეული, ნახევრობით თავადახდილი საუღარი (მაგალ-სოფელ ფარცხნაღში მიუხედავად იმისა, რომ მღვდელი სემინარიელია და ე. ფულებიც აქვს, დღემდის ვერ მოუწერებიათ ეკლესიის აგება) და სკოლაზედ რომ სულ ხსენება არ არის. ამ

მოკლეების მიზეზი, სხვათა შორის, ის არის, რომ უმთავრესი ნაწილი ჩვენი სხეულისა—სული და გვივიწყნია და სამაგიეროდ სრული ჩვენი ყურადღება ხორცისათვის მიგვიქცევა.

ამისთანადაწარმადური მოკლეებისაგან, ჩვენ და საბედნიეროდ და სასიხარულოდ, დღეს უმეტესი ნაწილი იმერეთისა განთავისუფლებული არის და მისი მკვიდრნი—მცხოვრებნი სტაბილან წირვა-ლოცვით ღამაზ გვემაზედ აგებულ ქვის ეკლესიებში. სხვათა შორის ჩვენ მეზობელ რეფორმულსაც აუსრულდათ დიდი ხნის წინ და 23 წასრულ მისს ედირსნენ თავის ახალი ეკლესიის კურთხევას. გაისმა რა ხმა, რომ ეკლესიის კურთხევა იქნება 23 მაისს, ხალხი თითქმის ერთი კვირის წინეთ იკრიბებოდა შორეული სოფლებიდან სოფ. რეფორმაში და კურთხევის დღეს ელოდნენ მოუთმენლად. აი კიდევაც დადგა დღე ეკ. კურთხევისა და ხალხი იმოდენი შეიკრიბა წირვის დაწყებამდის, რომ სატილობა ადარ იყო არც ეკლესიაში და არც მის დიდს გალავანში. ამ ხალხთა შორის ყურადღებას იქცევდნენ აღისებნის სამრევლო სკოლის მოწოდენი, რომლებიც რიცხვით 160-ჯ ღამაზად ჩამულნი რიგზედ იუვნენ ორ წებათ დამდგარნი ეკლესიის დასავლეთის კარებიდან და ელოდნენ ეპისკოპოსის მობრძანებას და მათგან დოცვა კურთხევის მიღებას.

დადგა რა წირვის დრო, შეიქნა ზარების რეკა და ცოტა ხნის შემდგომ გამოჩნდა მათი უოვლად უსამდგდლოესობა ცხენზედ მჯდომარე; დანახა თუ არა მათმა მეუფებამ უმწიფილები, ჩამობრძანდა ცხენიდან და პირმცინარე სახით და დოცვა-კურთხევით ჩაიარა მოსწავლეებს შუა, ხოლო ეს უკანასკნელი დაწყობილის ნმით გალობდნენ «მეუფეო წყებათა»-ს. ამ სახით მათი მეუფება ადგილობითი ბლაღოჩინების მ. დოცა ჭიანჭვილის, იულიანე აბესაძის

და სხვა სამფუძვლო პირთა თანამწირველობით შეუდგა წირვას.

როგორც ზევით მოვიხსენიე, იმოდენი ხალხი დაესწრო ამ დღეს წირვას, რომ ეკლესიაში შესვლა ყოველად შეუძლებელი იყო მრავალთათვის, ამ რიცხვთა შორის მოყვენ ალისუბნის სამრევლო სკოლის მოწაფეებიც, რომლებსაც, როგორც შემდგომ შევიტყუთ, განძრახვა ჰქონდათ ეგალოზნათ ეკლესიაში; მხოლოდ ერთი მათგანი როგორდაც შემოვიდა ეკლესიაში და თავის დროზედ წაიკითხა მკაფიოდ და გარკვევით სიმკაფლო სარწმუნოებისა, რითაც ძრიელ ასამოვნა ხალხს. წირვის გათავების შემდგომ, ყოველად სამფუძვლო გამობრძანდა ეკლესიის გაღვანში, ჩვეულებისამებრ დადგა მაღალ ქვაზედ და წარმოასტკვა თავის ბრძნული სიტყვა, რომელშიაც პირველად მიულოცა ხალხს ახალი ეკლესიის აგება და კურთხევა, ხოლო შემდგომ განუმარტა მსმენელთ იმ დღეს წაიკითხული სახარების სიტყვები და შინაარსი, რომელსაც ხალხი ისე ისმენდა და ისეთი სიჩუმე იყო, რომ არ შემიძლია ენით გამოხატვა; მათი შეუფების სიტყვამ, ბევრს მსმენელს, განსაკუთრებით დედაკაცებს, ცრემლები მოგვარა.

სიტყვის გათავების შემდეგ მათ შეუფებას ადგილობრივად მფუძვლმა ი. სალაქამ უთხრა შესხმა, რომელშიაც მოიხსენია მათი შეუფების მოფაწეობა და მათი სასარგებლო სამსახური იმერეთის ეპარქიის სამფუძვლოებსა და ეკლესიებისათვის. შემდგომ ამისა ყოველად სამფუძვლო წაბრძანდა თავის ბინაზედ და სადიდის მიერთების შემდგომ დაბრუნდა ქალაქ ქუთაისში.

დასწრე.


ჩიკავოში გამართული კოლეუმბის მსოფლიო გამოფენა.

1492 წელს აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლეუმბმა ამერიკის საზღვრის და თავგამომეტყულის რკანენე მოგზაურობის შემდეგ. ეს დღე შესანიშნავია მითი, რომ მაშინ პირველად დაადგა ფეხი ამ ახალ ქვეყნას ევროპიდგან წასულმა ადამიანმა, აღმოაჩინა ამ დრომდე დაბალეული უმრავლესობისათვის თითქმის ნახევარი ქვეყანა და ამით უჩვენა განათლებულ კაცობრიობას ფართო სარბიელი გამჭრიახობის და შრომა-მოფაწეობის გამოსახენად. მართლაც, ამ დღიდგან ევროპის ხალხი გაემართა ამ ახალ, დაუმუშავებულ, მდიდარ მხარისაკენ და მიჰყო ხელი შრომით და საქმით გაძლიერებულ ცხოვრებას. ახალ ქვეყანაში დაარსებულმა სახელმწიფოებმა ჯერ ძველ ქვეყნების საფარ ქვეშ იწყო ზრდა-მატება, შემდეგ ეს სამძიმო ტვირთიც აიცილია და ამართა თავისუფლების, დამოუკიდებლობის დროში. ამ თავისუფალს სარბიელზე, სადაც არც გონებას და არც გარჯას არაფერ არ ეღობებოდა წინ, ხალხმა მალე მიადწია სასურველ მიზანს და არამც თუ დაეწია ძველის ქვეყნის უგანათლებულესს ქვეყნებს, არამედ წინაც წაესწრო მათ და ეხლა იგი ითვლება მოწინავე ქვეყანად. ოთხასი წელიწადია მხოლოდ მას აქეთ, რაც კოლეუმბმა გასდო ხიდი ძველ ქვეყნებსა და ამერიკას შუა, მაგრამ ამ ოთხასი წლის ზრდა-მატებასაც ნათლად დაუმტკიცა კაცობრიობას, თუ რამდენად ღონიერი და ნაყოფიერია ადამიანის მხნე, გამბედავი და შეებორკავი საერთო მეცადინეობა.

ამერიკელებმა გადასწვიტეს იმ შესანიშნავი დღის დღესასწაულობა, როდესაც კოლეუმბმა აღმოაჩინა ეხლანდელი მათი ქვეყანა და განიზრახეს წელს ოთხასის წლის სახსოვრად მსოფლიო გამოფენის გამართვა.

ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს კიდევ  
 ჰე მისში გახსნეს ქ. ჩიკაგოში გამოფენა, რომ-  
 ლის მსგავსი ჯერ არ უოფილა არსად. ჩიკაგოს  
 გამოფენამ გადაჭარბა აქამომდე გამართულ  
 გამოფენებს. ყველაფერი, რითაც კი შეიძლება  
 თავი მოსწონდეს განათლებულ კაცს, საუცხოოდ  
 მოაგვარეს და განახორციელეს. ყველა-  
 ფერს გამოფენაზე ატყვია დიდი ხელოვნური  
 ნიჭი და მეცნიერული განვითარება გამოცდი-  
 ლებსასთან და გემოვნებსასთან შეერთებულია.

აქ მოყვანილია სერთათი მსოფლიო გამოფენის  
 გამგეობის სასახლისა. ეს საეცხოვო შენობა შესა-  
 ნიშნავია თავის საგანგებო სურათ-მოდჯრობით,  
 სიდიდით და სილამაზით, მაგრამ ეს მხოლოდ  
 მცირეოდენი ნაწილია ყველა იმ, გასაგვირველ  
 და სანაქებო შენობებისა, რომელითაც მდიდარია  
 ჩიკაგოს გამოფენა და განცვიფრებაში მოჰყავს  
 აღტაცებული მნახველი.



ჩიკაგოში გამართულ კოლუმბიას მსოფლიო გამოფენის გამგეობის სასახლე

# ფ უ ფ უ ნ ე ბ ა

(გაგრძელება \*)

მეორეთ, როგორც ზემოთე იყო ნათლამი, ფუფუნება უნდა განეიხილოთ ხალხთა კეთილდღეობის მხრით და ეიკთხათ: ხელს უწყობს იგი ამ კეთილდღეობას, როგორც ზოგჯერ ამტკიცებენ, თუ არა?

ყველაზე უფრო სასაფრთხო და საშიშარი შემცდარობა აქ არის, ეინც ფუფუნებისთვის იფლანგება, მას ასე ჰგონია, თუ ამით სამსახურს უწყეს სხვებს, მეტადრე მომუშავეებს. მთავრობაც კი ხშირად ერწმუნება მათ და უნიშნავს დიდხალ ფულს ცნობილ დიდაკებს, რათა ამით უჩენონ სხვებს მაგალითი მფლანგაობის, რომლისთვისაც გამომჩვენებლობა დაუტკმევიათ. თვით ელემენტალური ცნობები საპოლიტიკო ეკონომიისა ცხადათ გვიჩვენებს ამ იღვის სიკრუფს.

მრწველობის წარმატება დამოკიდებულია კაბიტალის (თანხის) გადიდებაზე, კაბიტალი კი შესდგება დაზოგეთ. საფუფუნო მფლანგაობა, რაც მოწინააღმდეგეა დაზოგვის, არათუ ხელს არ უწყობს, აფერხებს კიდევაც მრწველობის მოძრაობას. საგნის მოთხოვნა კიდევ არ ნიშნავს იმას, ეითომც საშუალება მიგეცეს იმის საწარმოათ. ეთქოთ, ამ წელს მინდა მე ეიყილო ხაერლი; მაგრამ იმის შესამზადათ საჭიროა მანქანები და ბეგრეფარი მასალა. ჩემი მოთხოვნა რადი იძლევა ამ კაბიტალს. ამას უნდა იძლეოდეს ის, ეინც, ყოლაფრის მოხმარების და შემონარჯვის ნაცულთ, მომჭირნეობასაც სწევდა. ამეგართ ჩვენ სარეგებლობა მოგვაქვს მომუშავეთათვის და ეადლებთ მათ შეძლებას იმუშაონ მაშინ კი არა, როცა თვითონ ეტმარობთ, არამედ მაშინ, როცა შეძლებას ეადლებთ იხმარონ იმ დროს განმავლობაში, როცა აწარმოებენ იარაღებს, მანქანებს და ამ მასალებს ახალის შესამზადებლათ ქარხნებში.

ფუფუნება არა თუ ხელს არ უწყობს მეშის ხელფხის აწევას, პირიქით აბრკოლებს მას. მართლაც და როდის აიწევა ხოლმე მომუშავეთა ხელფხი?— როცა კაბიტალი დიდდება უფრო სწრაფათ, ეინემ მრავლდებიან მუშები, ან მაშინ, როცა რიკი მეპატ-

რონე ერთ მუშაზე ერთმანერთს ეცილებიან. მაგრამ იმის გულისთვის, რომ რიკი მეპატრონე დაეცილონ ერთმანერთს ერთის მუშის დაქირავებას შრომის ბაზარში, საჭიროა თვითფულ მათვანს ქონდეს შედგენილი კაბიტალი დაზოგვის საშუალობით. მაშასადამე დაზოგვა და არა საფუფუნო ხარჯი იძლევა ღონის ძიებას, ახალ წარმოებათათვის და უფრო მომეტებულ მუშების საქმეში ჩასადგებას. უმეტელოა, ძალიან მდიდარ ქვეყნებში ფუფუნება არც აგრე რიგათ აბრკოლებს კაბიტალის გადიდებას, რაკი შემოსავლის სიუხვე ერთსაც უძღვის და მეორესაც. ბედოვლათების გვერდით დაზოგველნიც ბლომათ არიან. ეისსკოთხე და ხუთი მილიონი შემოსავალი აქვს, მას, რა თქმა უნდა, შეუძლია ბეგრეფარი ხურტში დიშუმოს და მაინც კადეე ყოველ წელს გადინარჩუნოს წმინდა შემოსავლითვან. ავერ ინგლისს ყოველწლიე საში მილიარდით უღიდდება კაბიტალი. ამ ფულს ახმარებენ ახალ-ახალ შემმართებლობათა შექმნას არათუ მარტო ინგლისში, მთელ ქვეყანაშააც კი. ექვს გარეშეა, თუ დანაზოგი უმეტესი ყოფილიყო, მაშინ ხომ საყოველთაო მწარმოებელის თანხის მოხმარება და ზოგადის წარმოების გადიდება უფრო და უფრო სწრაფათ ზრდაში შევიდოდა. ეგებ ეინმე შემომესიტყვის: «-მას ხომ ეერ უარყოფთ, რომ ფუფუნება მსუფელლობას აძლევსო ეაჭრობას». ეს ყველასავან ცნობილი ქემარტებაა. ერთი შესანიშნავი ეკანონმისტი ამბობს: «როცა დიშნაზიამ ესწაველობილო, ეკირა-უქმობით მიედიოდა ბიძასთან, რომელიც იყო მზარული და გულმოწყალე კაცი. ერთხელ, როცა ბიძა ჩემმა სადილის ვთაფებისას გამოცალა ერთი ბოთლი ძველი ღვინო, აიღო და ჰიქები ძირს დაახეთქა და თქვა: «ეც, კი ის არი, რომ სხვებიც კარგათ ცხოვრობდნო».

ამ ფრაზმა ძან დაუთქოვა გიმნაზიელო, მომავალი ეკონომისტი. «თუ ბიძა ჩემს, ახობრდა იგი თანის გულში, სწადა მისცეს მუშებს ცხოვრების შენლება, რატომ არ ამტრეებს ბავემ სხვა სასადილო ჰურტლებსაც, თანის ავეჯეულობას და ფნარჯბს? ხომ ამით უფრო მომეტებულ სამუშაოს მისცემდაო მუშებს». ასე რომ გეყევი, მაშინ ხომ უნდა ეთოქროთ, რომ ნერონი, რომელიც დამლერდა ცეცხლივადებულ რომის ქალაქს, განმბრძნობილი ყოფილა ჰემმარტის ეკანონმებრი დედაზარებით. მეორემ, პარიეღმა ეკონომისტმა თქვა: «ეთქოთ პარიეი ერთ

\*) ახ. «მუყეშია» № 11, 1893 წ.



ბაშთ გაღიბუგა. როგორც მოქალაქეს ეს უბედურება უნდა მიეგაღიხნაო, მაგრამ როგორც ეკონომისტს უნდა გამეხარდესო. ამ ეკონომისტს ეგონა, რომ ეს სასარგებლო იქნებოდა შრომისათვის, ჯლიქეს წაკარვდა და ძაან წინ წასწყვდა მას. ამისთანა დასკვნამდე რომ არ მიხვიდე შეუთბებელია, თუ არ გასწავლე, შრომის შედეგი, არამედ თითონ შრომა. შრომა მარტო შრომისთვის, ეს ხომა სიზიფობაა. ამ შემთხვევაში საპოლიტიკო ეკონომია იქნებოდა მეცნიერება წარმოებაზე კი არა, არამედ დოვლათის სპობაზე. აქ არის ერთობ ტლანქი გზადანბნულობა, რომელიც უნდა ნათლათ გამოაშკარდეს და დაიროღეს.

უნდა მკაცრათ გაიჩიო იგი, რაც ჩანს მისგან, რაც არ ჩანს. ხილული არის ის მუშა, რომელიც ხელახლა აწარმოებს იმას, რაც მოსპობილ იქმნა; უხილავი მერე მუშა, რომელიც გააკეთებდა სხვა რამ სავანს, და ამ სავანს დასაქმიდენ მას გასაკეთებლათ სწორათ იმ ფულით, რასაც ახლა აძლევენ პირველ მუშას. ანდაზა ამბობს: ერთი ქირი მარგებელიაო. მართლაც ერთი რამ სარგებლობა რომ არ მოქონდეს, იმისთანა ცუდი საქმე არ არი. ცხადია, რომ შემოსხნებულის გიმნაზიელის ბიბა რომ ქიქებს აბტყრედა, იგი ამით ხერის აძლევდა საშუშე ქარხანას, მაგრამ ეს ხარჯი რომ არ გაეწია, მაშინ შედეგლო ყვიდნა სკამები, სტოლი, ან სხვა უფრო ლამაზი ქიქები, და ამ სახით იგი მუშებს ხელფასსაც შესძენდა და თითონაც სავნებიც გაუბერდებოდა. მისი ქონება, და მავსადამე მასთან ერთათ ქვეყნის ქონებაც შეიმატებდა. გადამწვარ შენობების ხელახლა გაწენება რასაკირეგელია საქმეს გაუჩენს ბევრ მუშას და ხელოსანს, მაგრამ ამ სახით დანახარჯის ფულით შეიძლებოდა სკოლები გამართულიყო, რამდენიმე ეგისი რკინის გზა გაყვანილიყო, სხვა შენობები ადგებულიყო. ახლა კი ამითთვის ახალი ხარჯები უნდა დაეწიროს საზოგადოებაზე.

ყოველივე ეს კეთილია, გვიკვირებენ ჩვენ, მაგრამ მაგ ლამაზ თეორიებით, რომლითაც სათავე აქვსთო თიბიდილ მეუღდანობებში, დიოგენის ბოქვაში და ზირდაზირ მომდინარებენ სტრაიკებისგან, შიმშილით ამოსწყვეტთა აუარებელ ხელოხნების და აღბე-მიცემობის ხალხს. ვავსინჯოთ ეს შემოსიხტყება ცოცხალ მაგალითზე. ეთქოთ, მდიდარი ბანკირი ხარჯავს სადილებზე, ნადიმებზე და მრავალგვარ მეჯ-

ლიშებზე წლითი-წლად მილიონებს და მით აქვებებს თავის სტუბრებს კიდე მეტი დახარჯონ. მოდისტყები, მკერვლები, კანდიტრები, კუაფრები და მეხილეთა მესანუბარეთა მალაზიები ამით კარგა ხელს ითობენ, მცხოვრებნი აღტაცებაში არიან: «უპრობა განაღებულაო». ეთქოთ ამ დროს გამოჩნდა მჭადაგველი, არა ისე ხათრიან როგორც ახლა არიან, არამედ გასჭვალული ძველთა მამათ სიწმიდით და სიმტკიცით. იგი გრგვინავს ფუფუნობის წინააღმდეგ. მას ყურს უყკრობენ, ყველა ჩაფულისხმდა და თვითოეულმა მოინდომა მოქცევა და გასწორება. შესწყდა ნადიმები, აღარ არი მეჯლიშები, ყველგან მფეობს დაბრძინლობა და სიმპაფრე: გგონია ყველანი კვაკერებ შორის ეცხოვრობთო. რა შედეგი ექმნება ამ დიდ-ცვლილებას?—აღბათ არც ბანკირი და არც მთელი საზოგადოება ფულებს წყალში არ გადაყრან. მაშ როგორღა მოიხმარებენ? უთუოთ მოინდომებენ ამაშთან ფული და მოგება ნახან. რა გზათ? ერთი შეამუშავებს მიწას, რომელსაც აქამომდე ყურს არ უღებდა: მოაშენებს მცენარეებს, აშრობს კობაებს, გაჰყავს გზები, შეკეთებს ნაშენობას, ტყით დეფარავს ტრეტელ ნიადაგს, მეორე გაფართოებებს თავის ქარხანას, მესამე რკინის გზის აქციებს იღებს, მეოთხე მანდენულობას შეამუშავებს და სხ. ერთი სიტყვით ყველანი გააჩენენ შრომას სასარგებლოს და მაწარმოებელს, რათგან გაანგარიშებული აქვთ დანახარჯის ფულისა მოგება მიიღან. იგივე მილიონებია დახარჯული, იმიტომ რომ დღეს ფულს მიწაში აღარაინ მარხავს; ისინი ახარდობენ იმდენსავე შრომას და აძლევენ ცხოვრების საშუალებას იმდენსავე მუშების რიცხეს, მხოლოდ ეს მუშები ირჯებიან სოფლებში, როცა ისინი არა ჩანან და არა საპირფარეშოს, მეწანავის, კანდიტრის და მოდისტყებს სახელოანობაში, საცა მათ ყველანი უტკიერიან. მავსადამე აქ მოხდა მოსპობა კი არა, გადანაცვლება საქმობისა.







### აფხაზეთის რუქა.

ვბეჭდავთ აფხაზეთის რუქას. აფხაზეთის მხარეზედ დღეს თითქმის ყველას აქვს უკრად-დხარ მიქცეული. აგერ ორმოც-დაათი წელიწადი მეტი გადის თითქმის, რაც სცდილობენ აფხაზეთის მოქრისტიანებას. მისსიონერების ანგარიშისამებრ სჩანს, რომ აფხაზეთში მართლ-მადიდებელი სარწმუნოება მიუღია ოთხჯერ უფრო მეტს ხაღის, რამდენიც ცხოვრებდა და ცხოვრობს აფხაზეთში, დაარსდა მონასტრები და ეგვესიები, მაგრამ მთლად ხაღისის მოქრისტიანებას არა ეშველა რა. დააარსეს ეპარქია, ბოლოს აუქმებდენ და ესეა მკვიდრ ნიადაგზედ დაამკვიდრეს, მაგრამ ნაყოფის მოტანა ყველას ნახმარ ზომებისაგან კიდევ როგორდაც უნაჭვოდ მიანნათ. შემოსული უცხო თემი სარკებდობს აფხაზეთის მიწა-წყლით, მაგრამ მკვიდრთა კეთილდღეობას დიდი ცვლილება არ მისცემია. ამ ქვეყანაში აზირობენ გადმოსახლებას რუსებიც, ბოლგარელებიც გალიციელებიც, ბერძნებიც და სომხებიც. მხოლოდ ჩვენ, ქართველებს, რომელიც ამ ადგილის მემკვიდრე ვსცხოვრობთ, სრულებით უკრადდებდას არ ვაქცევთ და გუფხედ დაკრფილი შევსცქერით შორიდამ ამ საქმეს. დანარჩენსაც შემდეგ ნომერში ვცნობებთ მკითხველებს.

---

### არ არის რიგი, ღობე-ჟორეს ამოფარებული კაცი ტალახს ისწორიდეს.

ამას წინეთ ჩვენ ესთხოვეთ «ივერიის» რედაქტორს, რომ ლობე-ჟორეს ამოფარებულმა პირებმა ჩვენსკენ პირადათ ტალახის სროლას თავი დაანებონ-თქო. ყველა პატროსანი კაცისათვის ასეთი საქციელი სასიკცხოა. ჩვენი უკანასკნელი წერილის შემდეგ კარგა ხანმა განელა და მართლაც ხსენებული განუთის რედაქციას არ დაურღვევია ეს ჩვენი კეთილი რჩევა. ენლა «ივერიის» მე-113 №-ში ბ. პაატამ მანტკლდე დაარღვია ეს ჩვენგან მოთხოვნილი პირობა, მან ბევრი უკადრისი სიტყვების წარმოთქმა იკადრა ჩვენ შესახებ პირადათ ბ. გიორაძის ლექსის გამო,

რომელიც ჩვენს გამოცემაში იყო დაბეჭდილი. ბ. პაატას ჩვენ სრულებით არ ეცნობთ «ივერიის» რედაქტორად და ილია ქაძის მოადგილედ. მას არ ჰქონდა უფლება ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრებისა. პაატას ჰქონდა საქმე არა ჩვენთან, არამედ ბ. გიორაძესთან; ერთიც და მეორეც ლობე-ჟორეს არიან ამოფარებულნი. ჩვენ რომ ნება მიგვეცა გმირახათის პირადად მ. ნასიძეზე წერისა, რომელიც პაატას სახელით გამობრძანებულა და ვაუკითხავდ მარჯვნივ და მარცხნივ ისერის ტალახს, მაშინ იქმნებოდა ჩვენის მხრით პირობის დარღვევა. ვასრულებთ პაატას—(მ. ნასიძის) სურვილს და უცხადებთ, რომ ბევო გმირაძე არის რ. ხუნდაძე. რაც შეეგება იმას, რომ პაატას კარვით აღარ ახსოვს ის, რა პირობაც მოკსთხოვეთ «ივერიის» რედაქციას, ეს ჩვენი ბრალი არ არის. ნასიძეს შეეძლო მოენახა ჩვენი გამოცემის ნომერი «ივერიის» რედაქციას და ნამდვილად შეეტყო ჩვენგან გამოთქმული აზრი. შორს ჩვენგან ლობე-ჟორეს ამოფარებულნი პატრიოტნი! მისი არა გეწამს რა, რომელსაც თავისის ხელების გამოაშკარაების ეშინია მამულისადმი სამახსურის დროს. პაატა საყვარელი სახელია ქართველთათვის, ნუ შეაძულვით ამ სახელს ქართველებს. მღვდელს მოუტია თქვენთვის სხვა სახელი და არა პაატა და თქვენით ნუ ისაკუთრებთ მას, რაც არ გვეუთენისთ...

ნუ გრცხვენის და ნუ გეშინის, ბ. მიხაილნასიძეე, თქვენი ნამდვილი სახელის გამოაშკარაებისა. რაც გიქმნიათ, მაღლა ღმერთთან იცის და ძირს ჩვენ ეიცით. ვისი და რისი გეშინიათ? ლექსების უფარვისობაზედ სწერეთ, რამდენიც გინდათ. ჩვენთან რა საქმე გაქვსთ? თქვენ პასუხი უნდა გავგეცით გმირაძისათვის იმაზე, რაშია ც გამტყუნებდნენ. თქვენ კი პასუხის მაგიერ გამოამდგარხართ და გმირაძეს ლექსის წყობას უწუნებთ, რომ ასოები სწორეთ არ არიან დამდგარი. ეს არის თქვენი პასუხი!

როდესაც კაცი შიშობს, რომ ყველანი ვითომ მასზედ ლაპარაკობენ და ფიქრობენ, როდესაც კაცს მთელი საზოგადოება მტრათ მოგჩვენება, როდესაც კაცს თავის თავი ყველაზედ უბრძნეადა მიანნია, აი სწორედ ამისთანა კაცისათვის არის საქარო პელოცის საყადმყოფო, და არა მათთვის, ვინც ლექსის წერას სწავლობს.

დგა. დ. დამპაშიძე



მხირობები

«იერიის» №-112 №-ში არის დასტამებული ერთი, უცნაური კილოთი დაწერილი, აზვები 30-თს მათის მომხდარ ქალაქის არჩევნებზე. იქ, სხვათა შორის, მოხსენებულია: «კენჭის-ყრაზე უარი სთქვეს ყველა ქართველებმა, გარდა ბ. გიორგი ექვთიმეს ძის წყნეთლისა, რომელმაც თავი გამოიჩინა ქართველთაგან». მაგრამ დარბაისელი ქართული გაზეთი იქვე უმატებს: «უარი სთქვა ქართველთა ერთად 25-მა რუსმაც». ამის შემდეგ გაზეთის მოპყუებს სია იმ პირთა, რომელთაც კენჭის ყრაზედ ყუთი არ დაიდგეს. ამ სიიდან ცხადთ სჩანს, რომ უარი უთქვამსთ კენჭის ყრაზედ 32 ქართველს, ოც-და-სუთს რუსს, ჩვიდმეტს სომეხს, სამს ნეპოტს, ერთს თათარს და ერთს პოლონელს. მაშეფრ გაგვიგია, რა უნდა ეთქვა დარბაისელ კილოთი მოლაპარაკე გაზეთს? რომელ ქართველთაგან გამოიჩინა თავი ბ. გიორგი ექვთიმეს ძემ წერეთელმა? რომელთაც კენჭი არ იყარეს? მაგრამ ისინი ხომ მარტო ქართველები არ ყოფილან? იმათ შორის, როგორც სია გვიჩვენებს, რუსებიც ყოფილან, სომეხებიც, ნეპოტებიც, თათარცა და პოლონელიც; ან იქნება კარგმა, ლოდიკის მებატონე გაზეთის რეპორტაჟმა ყველა შემოსენებული სხვა ტომისა და მოდგმის კაცები ქართველებად ჩათვალა, რადგან მე იმათგან გამოუყოფილხარ. ეს კიდევ არაფერი. უფრო საგულისხმო ის არის, რომ ბ. რეპორტერის აზრით, მარტო მე დარბაისელი ქართველი იმ დანდენილ კათაქველთაგან, რომელთაც კენჭი იყ-

\*) ჩვენ მივიღეთ ეს სტატია შემდეგი პატარა წერილით: „ბ. რეპორტო! ეს პასუხი გავუგზავნეთ „იერიის“ რედაქციას დასაბუქდათ, მაგრამ რედაქციამ არ იჩემა, შემოიშთავლა. მოუწერსხვალად მიგვანია ამ პასუხის დაბუქდავა. ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ დაბუქდათ თქვენს პატრეცემულს გაზეთში ეს ჩემი გულის პასუხი“, რომ საზოგადოებამ ნათლად შეიტყოს, რაში მდგომარეობს საქმეა.

გაძლიერებ ადგილს ამ შენიშვნას, ვინაიდან ჩვენ ყოველთვის უკანონოდ მიგვანდა და მიგვანია რედაქციისგან უარის თქმა კაცის პასუხის დაბუქდავაზე თავის განამარტოებულად. ახა რა საქციელია, ერთი მიზნად, თუ დეერთი გწამსთ, კაცი გაღანძლით ბუქდავით, იუდას შეადართო და როდესაც თავის განამარტოებულად პასუხს გიგზავნისთ, შეუთვალთ: რედაქციას მოუწერსხვალად მიანია თქვენი პასუხის დაბუქდავა!.

რედაქტორი.

რეს. მაგრამ დარბაისელი ქართული გაზეთის რეპორტერი აქაც რომ მართლს არ ამბობს! ჩემ გარდა კალოუზენელმაც აქი იყარა კენჭი და კიდევ ამოიჩინეს ხმოსნად! ის კი არა, მე დარწმუნებული ვარ, რამდენ ქართველსაც უნდა იყარა კენჭი, იმ დღეს, თათქმის ყველას ამოიჩინედნენ. კალოუზენელმაც ხომ დაიდგა ყუთი, რატომ ის კი აღარ შეიქნა ვანდენილი ვანარიცხული ქართველთაგან? მაგრამ, როგორც მითხვენილი მიხვედება, აქ სხვა რამე იფიქრისხმება, რომელსევედაც ეს ერთი კვირაა დღი მითქმა-მოთქმა არსებობს თბილისელ ქართველებში და შეიძლება დარბაისელი ქართული გაზეთის მეოხებით ქალაქს გარეთაც ბევრი მოაპარკობდეს. ეითომ და როგორ გახედა გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელმა ჩვენ, ტყვიასევე ჭაბრეველ მეთაურებს, წინააღმდეგ წასვლაო, თუნდ რომ ჩვენ უმართებულად მოეცემა უფიქროსიყუთი. მართლაც უმართებულად მოიქცენ ისინი და ამით დაამტკიცეს თავისი უფარვისობა. ახ რატომ?

მაისის 16 რომ ქალაქის საარჩევნო კენჭის ყრა მოხდა, შემდეგ ქართველი ძველნი და ახალნი ხმოსანნი შეკრბნენ. მეც მიმეწვიეს წერილით ამ კრებაზე, სადაც ერთ-ხმად გადაწყვიტეს, რომ ახალ ამოიჩინულს ქართველს ხმოსნებს უარი განეცხადებია. ყველანი დათანხმდნენ გარდა კალოუზენლისა, რომელმაც რიხიანად წარმოსთქვა შემდეგი აზრი: «ბატონებო, აქ მე თავის ქება ბევრი მესმის, მჭევრ მეტყველებასაც ბევრს იჩენენ ჩვენი მეთაურები; მაგრამ საქმეს კი არ ეხედებიან, ამაბობენ, სომეხები გვემტურებიან და იმისთვის გავგაზვიესო. საქმით კი ჩვენი მეთაურების გაწავება თავიანთივე დაუდევრობის ბრალია. სომეხები მოემზადნენ და ბევრიც მოვიდნენ კრებაზედ იმათი მეცნეულები; ჩვენებში კი, ოთხას მეცნეუქმში ას ოც-და-ათი კაცი ძლიეს მოვიდა».

თავის ნამსახურებით ოქმის წარმოდგენას და ტრანზახობას, ისა სჯობდა რომ რამე ელონათ და მეცნეულები ბლომად მოეყვანათ. მაშინ უწინდულადვე გაიყვანდით იმდენს, რამდენიც წინათ გავიდნენ. ახლა გვეუბნებიან, უარი თქვან, ენაც ამოიჩინეთ. მე სწორედ არ მესმის ამისთანა პრატიკესო. ეგ ჩვენი სიტხბუნეა, მეტი არაფერი. ამაზედ კიდევ უფრო საბუთიანად ილაპარაკა საადგილ-მამული ბანკის დირექტორმა, თ. დ. ავალიშვილმა. მაგრამ ვერა გვარგია რა. ყველანი დავთანხმდით, უარი გვეთქვა ხმოსნობაზედ. არ დათანხმდა მხოლოდ ბატ. კალო-

უზნელი. მეორე თუ მესამე დღეს შეეცდეთ, რომ გუბერნიის საქალაქო საქმეთა სასამართლოს მარხის 16 არჩევნები გაუუქმებია. ამას შემდეგ სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე. ჩვენმა მეთაურებმა ისევ მივიწოდეს კრებაზედ. ბატ. ნ. ნიკოლაძემ ძლიერ საბუთიანად ილაპარაკა შემდეგი: «ბატონებო! ახლა სულ სხვა გარემოება დადგაო. პირველი არჩევანი მოიშალა და ჩვენ ისევ დავებრუნება სრული უფლება ახალ არჩევანისათვისო. ესკადოთ, ერთხელ კიდევ ყველა ქართველმა კანდიდატებმა დაეიდგათ ყუთები. თუ ამ მეორედაც გავვაშავეს, მაშინ კი სრული საბუთი გვექნება, რომ სომხები ჩვენი მტრობით სწილან ასეთა საქმესო და მთავრობაც სხვა თვლით შეხედეს ასეთს ძალ-მომხრობასო». ყველანი დათანხმდნენ, გადასწყვიტეს ერთხმად, ხელმოკრედ უნდა იყარონ კენჭი ქართველმა კანდიდატებმაო.

ამ კრებაზედვე ამოარჩიეს კომიტეტი, რომელსაც დაეაღეს, რომ, რაც შეიძლება, ბევრი ქართველი მიეკენჭებინა მოციქვან მერვე არჩევანზედ, ყოველი ღონე იღონონ, რომ თითქმის ყველა ქართველი კანდიდატები ამოარჩევიონ ხმოსნებად. ეს იყო მხოლოდ მათი ვალდებულება, სხვა არაფერი. ამას შემდეგ მე აღარა ვიცი რა. არავის აღარ მიუწყევიათ კრებაზედ და ეფიქრობ, არც არავითარი კრება აღარ უნდა მომხდარიყო. მაისის 29, შაბათს ღამის თერთმეტ საათზედ, მოვიღოდი შინ სტამბიდან, საცა, ის იყო, გაზეთის «კვალის» დასტამბა თავდებოდა. გზაზედ შეხვდა თ. დ. მიქელაძე და გაოცებული სახით მკითხა: «ამისთანა უგუნურება იქნება? კომიტეტს, ეს არის, ამ ერთის საათის განმავლობაში, გადაწყვეტია, ქართველმა კანდიდატებმა კენჭი არ იყარონ?»

- კომიტეტს ეგ უფლება არ ჰქონდა-მეთქი.
- საქმეც ეგ არის. იქვე ხელად შეუტრებიათ ქართველები, ვინც კი ბანკის რესტორაციაში (ყავა-ხაწაში) ყოფილა და საჩქაროდ მოუხსენიათ ყრილობაო.
- უკანონობა და აჩქარებული კაცების ნა-მიქედარი იქნება-მეთქი, არ მჯერა, და რომ მართლაც მომხდარიყოს, მე იმ ცხერის ფარაში არ გავერევი, რომელიც კლდეზე გადასაყრელად მიჭყავთ მეთქი მოუფიქრებლად.
- მეტი არ შეიძლება, ისეთი მოუფიქრებელი

და უადგილო გადაწყვეტილებაო—დაუმატა თ. დ. მიქელაძემ და გამოეგშვილობეთ ერთმანეთს.

მეორე დღეს, მაისის 30-ს, დილის ცხრა საათზედ მივიღე არჩევანზედ. იქ დამხვდა ხალხის გროვა, რომელიც აწვევბოდა თუატრის კარხეს, მალე შესულიყო საკრებულო დარბაზში; სხვათა შორის გამოველაპარაკე თ. ივანე მაჩაბელს და ნ. ზ. ცხეთაძეს ასეთს უმართებულო და უადგილო გადაწყვეტილებაზედ. თ. ივ. მაჩაბელმა მითხრა: ახლა რაღა დროს მაგის ღაპარაკი, გარდაწყვეტილია, პროტესტი უნდა გამოვაცხადოთო. ჩვენი ყუთები უნდა ჩამოვაშორებინათო.

— ჩემთვის ეგ სრულებით გარდაწყვეტილი არ არის და არც დავემორჩილები მაგისთანა გადაწყვეტილებას-მეთქი.

შემდეგ ვუსაყვედურე ნ. ზ. ცხეთაძეს ეს ამბავი.

— რა, ექნა, ძმაო, ორი დღეა, ეობრძეი მაგის გულისათვის და ევრაეის შეეხამინერაო. თუ ავრე იყო, რატომ არ მოხვედი და არ დამხებარე, რომ ასეთი უმართებულო გადაწყვეტილება არ მომხდარიყო ჩვენი მხრითო.

— ჩემთვის არავის შეუტყობინებია-მეთქი. ერთ საათს შემდეგ დაიწყო არჩევანი, მე ჩემი ყუთი არ ჩამოვადგმეინე. მეუზნებოდნენ: უმართებულოა, რაკი ყველამ უარი თქვა, შენც უარი უნდა გამოაცხადოთო.

— არა-მეთქი. არ შემძლია, მე ეიკისროს ბრალდება, რომ შევიქენი სომხებისა და ქართველებს შორის მტრობის მიზეზი-მეთქი. ამას გარდა, სომხებს რომ კიდევ გულში ჰქონდესთ ჩვენი მტრობა, იაჩალი არ უნდა მიხსცეთ ხელში. ჩვენივე დანით არ უნდა დაეკლვიერთ თაი-მეთქი: ეს რომ მოხდეს, სომხები თავს ასე იმართლებენ: «არ დადგეს, თორემ ყველას ამოვირჩევდითო». აი, ენახათ მე და კალოუბენელს თუ გავაშავეებენ, მაშინ კი დაერწმუნდები, რომ მტრობა ჰქონიათ-მეთქი. ამას შემდეგ ქართველები ისევ გაბრაზდნენ, რომ ერთი პირი გაჭარხს და დაგვიშინეს მე და კალოუბენელს შაევი.

მაგრამ სომხებმა ქართველებს ჩვენი თავი არ გააშაგებინეს. აქ ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ჩვენი ქართველი მეთაურები გულის-თქმით მიჰქედდებდნენ და არა დამჯდარის მოსაზრებით. ჰეშმარიალ მრცხენია ჩვენის განათლებულის თანამემამულეების



მაგიერად, რომ ისინი არ დაერიდნენ და პირად თავ-  
მოყვარეობას უმსხვერპლის საზოგადო ორი ნაციის  
ინტერესი, არამც თუ ქართველები და სომხები გა-  
დაამტყრეს ერთმანეთს ერთნულად, ჩემს პირად  
წნეობის ღირსებასაც შევხვნი; მაგრამ ისტორია და-  
ფასებს ჩემს საქმეებსაც და იმ მყერიალა დამქაშებით-  
სასაც, რომელნიც ქვეყნის ყოველ საქირო საქმეზედ  
ხალხს თვალს უხვევენ.

„მართლაც ვიტყვი, შეგიქნები ტყუილისა მოამბე რად?  
ვერას ვუქვებ საბავლოთა, უფურულთა პირ-საფერად.  
მე თუ გინდა თაგიც მომქრან, ტანი გახდეს გასაბურად,  
გინც არა ჰკავს კანაპურსა, მე ვერ ვიტყვი კანაპურად“.

ამისთანა აშბავი ორისავე მეზობელ ერისათვის  
მეტად მანებულა და ასეთი შეჯახება შეიძლება გან-  
დეს მოამბეალში აუარაცხელის უბედურების მიზეზი  
ორივე ერისათვის. რაკი ბრძოლა იმდენზედ მივიდა,  
რომ ერთი ერის მეთაურებმა აღარ დაზოგეს არავი-  
თარი იარაღი, რომ მეორე ერს უფლება მოჰკლე-  
ბოდა თვით-გამეგობაში, მე მაშინ ჩამოვეცილეთ ასეთს  
უმართებულთა განზრახვებს. მე ვიცოდა, რომ ერთ-  
მანეთის საუკუნოდ გადამტყრების მეტი სხვა არა  
მოჰყვებოდა რა ასეთს საქციელს. მე წინააღმდეგი  
ვიყავი, ვარ და მუდამ ვიქნები, სანამ პირში სული  
მიდგა, იმ აზრისა, რომ ერთი მეზობლის ხალხის  
გამოსიბობით მეორე მეზობელს ხალხს შეუშვირდეს  
მისი ერთნული უფლება. ცხოვრების ბრძოლაში  
რაკი რომელიმე მეზობელი თავის მეზობლის გასაქ-  
ლავად მოიშველიებს გარეშე ძალას და იმითი ცე-  
დება ფრთა შეაკვეცოს თავის მეზობლის თვით-არსე-  
ბობას და მის უფლებას, მაშინ თვითონ იგიც აღარ  
არის თვით-არსებობისა და პირადის უფლების ღირსი.  
განა ცოტა ცოდეები მიუძღვის ქართველებს ამ შემე-  
თხვევაში? განა ჩვენის მამა-აპაების დამხარებით არ  
განადგურდნენ მთის ხალხები? განა გვერგო რამე  
შევიძინეთ რამე იმათი დაკარგვით? მაშ ეს-ღა დაგერ-  
ჩენია, ახლა სომხობასაც დაერიოთ და საბოლოოდ  
დაღვიმტყროთ!

წრევანდელ სომეხ-ქართველთა შორის უსია-  
მოწინას საჩუქლად დაედვა გვარ-ტომობითი გადა-  
კიდება ერთმანეთში და ამ მიზეზს პასუხის გებაში თა-  
ნასწორად დამაშავენი არიან, როგორც სომხობის  
მეთაურნი, ისე ქართველებისა, რომელნიც უფრო  
გულისთქმას აძევენ, ვიდრე გონიერს მოსაზრებას;  
ახლა ყველასთვის ცხადია, რომ იმათ გაჰყვეს ამომრ-

ჩველნი გვარ-ტომობით ორ მოპირდაპირე ბანაკად  
და ეს ჩემის აზრით დიდი შეცდომა იყო, ამიტომაც  
ვეწინააღმდეგე, რაც შემძლო, ასეთს წინ-დაუხედავს  
მოქმედებას. აღბად ეს, და მხოლოდ ეს, არის მი-  
ზეზი, რომ დარბაისელმა ქართულმა განუთმა და მისმა  
ამყოლებმა გამოიტყვეს ქართველობისაგან.

ამას ვსწუნიობ: ბანი აჯა თვითი იქმენ და სხვას კი მარხვენი  
ბაჰითი მორცხვიც გავრცხვადების, უსირცხვილოს თუ არ არცხვენ.

გ. წერეთელი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

იმერეთის სამღვდლოების დეპუტატების კრების  
დრო შეცდომით იყო მოყვანილი ჩენი გამოცემის  
წინა №-ში. კრება მოხდებდა ამა თვის 22, 23 და  
24 რიცხვებში.

\* \*

წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში  
სწავლა დაამთავრა 71 მოწაფემ. ამათში სასწავლებ-  
ლის სამმართველოსაგან 27 მოწაფემდე იქმნება გავზე-  
ნილი თბილ. სასულ. სემინარიის პირველ კლასში.

\* \*

სასულიერო სასწავლებლების წესდებით ოთხ-  
კლასიან სასწავლებლის თითოეულს კლასში უნ-  
და იყოს 40 მოწაფე. თითოეულ მოსამზადებელ კლა-  
სში სწავლობს ღღეს 50 მოწაფემდე. ამიტომ ეს აგერ  
ორისამი წელიწადი იქნება, რაც ზედ მოსამზადებელ  
კლასიდგან ყველა ღირსეული მოწაფის გადაყვანა  
სწავლებლის პირველ კლასში შეუძლებელი ხდება  
უადგილობისა გამო. ამიტომ ურიგო არ იქნება,  
რომ სამღვდლოების დეპუტატებმა თავიანთ მო-  
მავალს კრებაზე ყურადღება მიამქციონ ამ საშუარო  
მოვლენას.



# სწავლა კეთილ-ზნობასა და სარ- წმუნოებაზედ.

მამა ღმერთ გარმსჯელი.

## I

**ღ**რისი მამა ღვთის ბარესჯელი იყო ასურელი. ის აღიზარდა წმ. იოანე ზედამწეოლის მიერ და შეიძინა მისგან საღვთო სწავლა-მოდღერება, რომლისაგან ყოველ კაცს მიეცემა ზეციური სიკეთე, თუ კაცი საღვთო სწავლა-მოდღერებას დაიმარხავს სიწმიდით, ღირსებით და შეუცვლელად. წმ. იოანე ზედამწელიც ასურელი იყო. მის ღვთის გარდა ყველა სხვაც ბევრი მოწაფენი, აღზარდილი და განმტკიცებულნი, როგორც ღვთი, საღვთო სწავლა-მოდღერებაში. ასსურეთში მკოფობის დროს წმ. იოანემ მიიღო ბრძანება ღვთისაგან, რომ ის წასულიყო საქართველოში თორმეტ მოწაფეთურთ ქრისტიანობის გასაერკელებლად. წმ. იოანე დემორჩილა ღვთის ბრძანებას: თორმეტ მოწაფეთურთ ასსურეთიდან ის წამოვიდა საქართველოში. მს მოხდა ორასი წლის შემდგომ წმ. მოციქულთა-სწორის ნინა ქართველთ განმანათლებელის დროიდან, როცა საქართველოს ეკლესიას განაგებდა მეღვთიოზ კათოლიკოსი (პატრიარქი). როდესაც წმ. იოანე თავის მოწაფეებთან მიუახლოვდა მცხეთას, რომელიც იმ დროს იყო საქართველოს სატახტო ქალაქი, მეღვთიოზ კათოლიკოსს გამოეცხადა ჩვენებით ანგელოსი და უბრძანა მას: «მამა, მოვალს იოანე, ყოველად განთქმული მონა უფლისა თავის მოწაფეებით, რომელმან განანათლოს ყოველი ეს ქვეყანა, როგორც პარველად ნინამ; აწ აღსდგა და მიეგებე მთა». მეღვთიოზ დემორჩილა ღვთის ბრძანებას და მიეგება მთა. როდესაც ისინი შეხვდნენ, მეღვთიოზ კათოლიკოსმა ღვთის განგებით იცნო ისინი, გადაეხვია წმ. იოანეს და მოიკითხა იგი: «კეთილად მოხვედ მამაო წმიდაო». წმ. იოანემ კათოლიკოსს თაყვანისცა და უთხრა: «წმიდაო მეუფეო! კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ღირსმყო თაყვანისცემად სიწმიდისა შენისა». მკრთვე იოანეს მოწაფეებმაც მიიღეს ლოცვა-კურთხევა კათო-

ლიკოსისაგან. მაშინ წმ. იოანემ მიიღო ღვთისაგან ნიჭი ქართულად ლაპარაკისა, იმ გვარად, როგორც სული წმიდის გადმოსვლის დროს მრისტეს მოციქულებმა მიიღეს სხვა-და-სხვა ენაზედ ლაპარაკის ნიჭი, (საქ. მოც. 2, 1—4). იქ მყოფნი და რომელთაც ესმა ეს უცხო სასწაული განკვირებოთ და შიშით აღიღებდნენ ღმერთს საკვირველებთა მოქმედს. წმ. მამებმა მოვლეს საქართველოს ქალაქები და სოფლები, ქადაგეს სახარება და განამტკიცეს ქართველნი ქრისტიანობაში, მერე ამოიჩინეს საცხოვრებლად ზედაზენის მთა, იქ განმარტოვდნენ და განატარებდნენ დროს მოღვაწეობაში, ლოცვაში და მარტულობაში; მორწმუნე ქართველნი მიდიოდნენ მათთან, მიყვადათ ურისცი სნეულნი, ეშმაკეულნი, ბრმანი, ყრუნი და ყველანი განიკურნებოდნენ წმ. მამების ლოცვით. რადგანაც ისინი იყვენ კეთილ-მორწმუნენი და წმიდანი, ამიტომ ქონდათ მათ ღვთისაგან მიცემული უკურნებათა მადლი, თანახმად იესო მრისტეს ბრძანებისა (მარკ. 16, 17—18) და პაველ მოციქულის სიტყვებისა (1 კორ. 12, 9). ორი იოანეს მოწაფეთაგანი—საბობოს და იესე კათოლიკოსის მიერ ხელდასხმულ და დადგენალ იქმნენ ეპისკოპოსებად ნეკრესისა და წილენისა; სხვები წმ. იოანემ გაგზავნა საქადაგებლად მართლ-მასეთს; თვითონ კი იქვე განაგრძო მოღვაწეობა და გააშენა იქ მონასტერი ზედაძინისა.

## II

**მ**ამა ღვთისმა თავის სულიერ მოღვაწეობისთვის პირველად აღირჩია თბილისის მახლობლად დასავლეთისაკენ მდებარე მთა, რომელსაც დღეს მთა-წმიდის ეძახიან და იქ ერთ პატარა გამოქცებულ კლდეში დემკვიდრა თავის განუყრელ და ერთგულ მოწაფეთ ლუკიანეთურთ. მს ადგილი მაშინ ქალაქს გარემუ იყო (მაშინდელი თბილისი მთაწმიდამდე არ იყო გაშენებული) და წარმოადგენდა მყუდრო და განმარტოებულ ადგილს, რის გამოც ამ ადგილმა შიქტა უურადღება მ. ღვთისისა, მით უმეტეს, რომ ეს ადგილი იყო იგეთ ქალაქის მახლობლად, რომელშიაც ბევრი მცხოვრებთაგანი კრპოთ-თაყვანისმცემელნი იყვენ; ბევრი მცხოვრებთაგანი ცეცხლს სცემდნენ თაყვანს და ღვთის, როგორც ქრისტიანობის განსაერკელებლად მოვლენილს საქართველოში,



შეცდომა თავის ქადაგებით მათი მოქცევა. მ. ლავიტი ლუკიანეთურთ ყოველ კვირა დღეს ჩაღიდა ობილისის და ქადაგებდა ძრისტეს სწავლას; თავის ქადაგებით და წმ. ცხოვრებით ბევრი ცეცხლის თაყუანისმცემელი მოაქცია და ძრისტეს სარწმუნოება მიაღებინა. მთელი მკვიდრი—ქართველი ქრისტიანნი იგი პატივისცემით უყურებდნენ მ. ლავითს, მიჰნდით და იწმინდებოდნენ—ლავითსგან მოვლენილ ანგელოზათ და დიდი ყურადღებით ისმენდნენ მის ქადაგებას. მაგრამ მამა ლავითს მტერიც მალე გაუჩნდნენ: ქურუმნი (ცეცხლის თაყუანისმცემელთა მძღვანარი) სულ სხვა თვალთი უყურებდნენ მ. ლავითის ქადაგებას,—იმათ შორს დათ და ძლიერ სწყინდით, რომ მამა ლავითმა ბევრი კერპთ-თაყუანისმცემელი მოაქცია და მათ შორის პატივი დაიმსახურა. მტრუბთ სურდათ, რომ როგორც ლავითი ობილისიდან განდევნათ და ცეცხლის თაყუანისცემა ესე განეძლიერებოთ; თავის ბოროტ განზრახვის აღსასრულელად ქურუმებმა მიმართეს ცილის წამებას და საქმე ასე მოაგვირეს: იქ, სადაც ახლა მანუეთის წმ. ბორგის ეკლესია არის, იმ დროს იყო დედათა მონასტერი, იმ მონასტერში ხან-და-ხან მ. ლავითიც შედიოდა. მართმა იქუთმა მონაზონთაგანმა დაარღვია აღთქმა ქალწულობისა, ჩაივარდა ცოდვაში და დაორსულდა. მშობიარობის დროს ის სამინდად დაიბნედა და შეიღო არ ეყარა; ლავითი ზღერებმა—ქურუმებმა, რომელნიც, სხვათა შორის, კიდევ მკითხაობდნენ, უთხრეს მშობიარეს, რომ ის, თუ ბავშვის მამად არ დასახელებს ლავითს, არ მორჩება და უსათუოდ მოკვდება. მან გაუგონა ქურუმებს და მამა ლავითს ცილი დასწამა: ბავშვის მამად აღიარა. ამის გამგონე მართალი ლავითი, ცილის წამებით ძლიერ შეწუხებულ-გამპარებულს, მთავრობის მიერ დაპარებული, მივიდა მშობიარის სახლში, შეაჩერდა ზეცას და ლავითს ლოცვილობდა, რომ ლავითი შეწყობდა მას და ამ ცილის წამებისგან გამოეხსნა იგი. ცილის წამება მიიმე ცოდვა და ამიტომ ყოველი ქრისტიანი უნდა ერიდოს მას. (გამოს. 20, 16; გამოს. 22, 28; გამ. 23, 1; გამ. 34, 6; ლეიტ. 19, 16; ფსალ. 33, 13; ეკლ. 10, 20; ფეხ. 4, 31; კოლას. 3, 8; 1 პეტრ. 2, 1; 2 კორინ. 12, 20; ტიტ. 3, 2; იაკ. 4, 11; 1 პეტრ. 3, 10; ფსალ. 14, 1—3). მტრუმებმა და ყველა კერპთ-თაყუანისმცემლებმა შექმნეს ყვირილი და თხროლოდნენ ლავითის დასჯას. მორწმუნე ხალხი კი

განცვივრდა და თვითონ არ იცოდა, რა ექმნა; მაშინ მ. ლავითი წარსდგა წინ და უთხრა ხალხს: «ძმანო და შეილნო! თვით ლავითთან იცის, რომ მე ამ საქმის არა ვიცი რა და, თუ მათი სიტყვა მართალია, თვით ლავითთან გამოაჩინოს ეს საქმე». მერმე ლავითს თხრონი ის დედაცაი დააყენეს ლავითის წინ, დეთმა ხმამალა უთხრა მას: «დედაცაი! რა მრუშება ექმნე მე შენთან?» დედაცაი კი ურცხვად და უმზრად ხმამალა აბრალებდა ლავითს თავის ფეხმძიმობას. მაშინ, მ. ლავითმა ილოცა ლავითს: «შუალო ლავითო ჩემო! ლავითო მართალთაო და არა უსჯულოთაო, ვიცი, რომ შენ წინაშე არა რაა არს დაფარულ, გამოაჩინე ქეშმარიტება საქმისა ამის»... თავის რკინის ჯოხი, რომლის თავეზე პატარა ჯვარი იყო, შეახო იმ დედაცაის მუცელს და ჯერ კიდევ დაუხადებულ, მუცელში მყოფ ეშაწილის ჰკითხა: «მე ვარ მამა შენი?» მუცლითგან გამოისმა ხმა ყაზვილისა: «არა, არა» და დასახელა ელაც მჭედელი თავის მამად. აშგვარად ლავითმა ისმინა ლოცვა მის მართლისა და გამოაჩინა სიმაართლე მისი. «რასაცა ითხოვდეთ სარწმუნოებით, ბრძანებს შუალი, გეყოს თქვენ» (მათ. 21, 22; მარკ. 11, 24; იოან. 14, 13—14; იოან. 16, 23—24; იაკ. 1, 5—6; 1 იოან. 3, 22, 23). მგეთის სასწაულის გამო განცვივრდნენ ჭე გავტერდენ ყოველი იქ მყოფნი, ხალხიც და ქურუმნიც და ხმა ევლარ ამოიღეს. მაშინ იმ დედაცაის უთხრა მ. ლავითი: «შენ ქვას წოხა. ხოლო შერცხენილ ქურუმებმა ლავითს ეგრავერი მოუხერხეს და ის დედაცაი კი ჩაქოლეს ქეთა. იმ დედაცამა ჩაქოლვამდე მართლა შეა ქვა, თუ არა, არ ვიცი, მაგრამ იმ ადვილს აღშენებულ წმ. ბორგის ეკლესიას კადარქვა სახელად და დღესაც უწოდებენ მთაშეთის (ანუ შემოკლებით მანუეთის) წმ. ბორგის ეკლესიად.

III

მე გარემოების გამო მ. ლავითი ლუკიანეთურთ განშორდა პირველ თავის სადგომ ბინას, გავიდა მდინარე მტკვარში და ცოტა დროებით დაბინადდა ნათლულის მახლობლად მტკვრის პირას გამოქვაბულ კლდეში; ხოლო აქედან წავიდა ლავითი ლუკიანეთურთ აღმოსავლეთისკენ, გაცილდა შარაიაზის მინდერებს ჭე მივიდა ერთ კლდეგან ადვილს—უდაბნოში, რომელიც იყო განშორებული სოფელს და სოფლის



შფოთს, უწყლო, მზისგან ვადამწვარი და მოკლე-  
ბული ყოველსავე, რაც კაცის საზრდოდ გამოსადეგია. მაშ  
დავითს ეს ადგილი მოეწონა საცხოვრებლად და  
უთხრა ლუკიანეს: «მამო ლუკიანე! ხედავ, რომ ეს  
ადგილი კარგია და შფოთთან თვისუფალი, დედ-  
გეთ აქ მარტოებით, ევედროთ ლმერთს, ეიმარხუ-  
ლოთ, მღვიძარე ვიყნეთ, დავითმინათ ყოველივე  
ხორციელი ნაკლულევანება და გასაჭირი, ცოდვა  
მოენანოთ და მოწყალემან ლმერთმან, იხილოს რა  
გულსმოდინება ჩვენს მისსა მიმართ, მოგვავოს ჩვენ  
ნაცლად კეთილი, მოგვეცეს ჩვენ საღეთა მადლი, ჩვენი  
უძლოურების განმეყრანებელი, მოგვეცეს მოთმი-  
ნება,—ამ სოფლის შეიწროება და გასაჭირი მალე  
წარმავალია, ერთი წუთისაა, ხოლო შეება და დიდება  
ღირსთა და მოღვწეთა საუტუნოა». ლუკიანემ მიუ-  
გო: «ლმერთმემოსილო მამო! სიტყვა შენი ჭეშმა-  
რიტია და საღეთო წერილშიც სწერია, რომ ლმერთი  
მიადგებს ყოველ კაცს საქმეთა ვერ მათთა, რაც კი  
იმოკმედონ ამ წუთისოფელში კეთილი, ანუ ბოროტი,  
(2; იოანე. 3, 2, 17; 1 პეტრე. 1, 17; ილა. 34, 24—  
25); მიერ. 32, 16—19), მაგრამ ამ უღაბნოზა და  
იწროებას ვხედავ: ეს ადგილი მოკლებულია ყოველ  
საჭირო საზრდოს და თვით წყალსაც და ჩვენ კაცნი  
ვართ, მეშინის, რომ ვერ შევძლოთ მოთმენა ამ  
უღაბნოს ქირთა და იწროებათა». ამ სიტყვებზედ  
მ. ლავითმა მიუგო: «მამო ლუკიანე! ამისთვის ნუ ზრუ-  
ნავ: ლმერთმან, რომელმან უღაბნოზი გბრავლებს  
საზრდელად მანანა უწყება (გამოს. 16, 4—35), კლდი-  
საგან გამოადინა წყარო (გამოს. 17, 6; ნეემ. 9, 15;  
ესაი. 77, 15—16; ესაი. 104, 41; ესაი. 113, 8;  
ესაი. 48, 21), კარმელის მთაზე ილია ყოჩრისა  
მიერ გამოზარდა (3 მეფეთ. 17, 2—6), ჩვენცა  
გამოგვზარდეს, საზრდელითა მით, რომელიცა ინე-  
ბოს მოწყალეებითა მისითა, ეინათთან ბრძანებულ  
არს ჩვენდა: ნუ ზრუნავთ ხვალისათვის (მათ. 6, 34),  
რამეთუ იგი თავადი აღადგებს ხელსა თვისსა და გა-  
ნადგებს ყოველსა ცხოველსა ნებისა ვერ თვისისა  
(ესაი. 13, 27—28); მან ჩვენც მოგვეცეს საზრდელი,  
ჩვენთა სხეულთა უძლოურების განმეყრანებელი. ახლა,  
მამო, გამხნედი და განძლიერდი, სხეულთან ჩვენც  
გამოგვზარდის ლმერთი». ამ სიტყვებით განმხნევე-  
ბულმა ლუკიანემ უთხრა დავითს: «პატიოსანო მამო!  
როგორც ბრძანე, ევრე ვყოთ, ხოლო ლმერთმან,  
რომლის იმედი გვაქვს, იზრუნოს ჩვენი ცხოვრები-

სათვის». ამგვარად იმათ გადაწყვიტეს იმ უღაბნოზი  
მოღვწეობა, დაიარეს უღაბნო, პოვეს პატარა გამო-  
ქვამული კლდე და იქ შეიფარეს თავი სიციხისა და  
წვიმისაგან. იქ დაბანავდნენ და ატარებდნენ დროს  
ლოკეში და მარხულობაში და საზრდოობდნენ სხვა-  
და სხვა ბალახებით და მათი ძირებით.

IV

ამ უღაბნოზი სიციხისაგან ბალახი მალე  
გადაზმა და ლუკიანემ მწუხარებით შეჩივლა და-  
ვითს: «ნუ წმიდაო მამო! რაღა იყოს ნუ-  
გეშინისმცემელი ჩვენი და რით ვისაზრდოთ  
თავი; ბალახნი განმენ და ჩვენთვის უხმარ იქმნენ».   
დავითმა, იხილა რა ევრე მწუხარებით მოლაპარაკე  
ლუკიანე, უთხრა მას: «მამო ლუკიანე! რად დავი-  
დგეს იმედი ბალახზედ და ქვეყნიურ მცენარეზედ?  
თუ არ იცი, რომ ყოველივე ქვეყნიური ნივთი ცვა-  
ლებადია და წარმავალი, ყოველივე თავის დროზე  
აღირობინდება ჭე მყოფობს და თვის დროზე განიხრწ-  
ნება, როგორც დაუღვარამელი და წარმავალი და  
მხოლოდ სული უცვლადელ ქმნილი ლეთისა მიერ სა-  
მარადისოდ დაადგრების მიღებად ნაცლადგებათ; თუ  
არ გავიგონათ საღმრთო წერილის სიტყვები: მოთ-  
მინებითა თქვენითა მოაზოვეთ სულნი თქვენნი  
(ლუკ. 21, 19), რისთვის იქმენ ევრე ძლიერ  
სულმოკლე? ნუ თუ არ იცი, რომ შრისტეს მცენ-  
ბისთვის უეტოუ მოგვედოთ შიმშილით, ანუ წყურ-  
ვილით, ხორციელი სიკვდილის მაგიერ მივილოთ  
საუყუნო სულიერი ცხოვრება; რას სწუხხარ ბა-  
ლახთა და მცენარეთათვის, ესენი პირუტყვთა  
საზრდოთ არს მოკმეული, ჩვენ კი ვართ სიტყვი-  
ერნი და კაცთათვის შემსგავსებულთა საზრდე-  
ლითა გვზარდნეს მზრდელმან ყოველთაგან» (მეო-  
რე სჯულ. 10, 18).

ამ სიტყვების გათავებისათნავე ლეთის გან-  
გებით მოვიდა მათთან სამი ორემი თაიანთ ნუკ-  
რებიანთა და გაჩერდნენ, როგორც ცხვარნი, და-  
ვითმა უთხრა ლუკიანეს: «მოიღე, მამო, პინაკი  
(ჯამი) და მოწველე ეს ორემი, ლეთისგან მოვლი-  
ნებულნი ჩვენდა გამოსაზრდელად. ამ უცხო სანახა-  
ვით გაკვირებული ლუკიანე აღვა, მოწველა  
ორემი და დადვა პინაკი რძით, დავითმა გდუნახა  
ჯარი და რძე შედვდა ახალ ქველად; აიღეს ეს



ველი, სჭამეს საკმაოდ და მერმე წამოაბრუნეს: «სჭამონ დღერდომილთა და განძღენ და აქებდენ შუალსა, მომცემელსა ყოველთა კეთილთასა და ნუგეშინსმცემელსა ყოველთა მოშიშთა და მადიდებელთა მისთასა». ამის შემდგომ ლუკიანემ უთხრა ლეითს: «ბატოლსანო მამაო! ჭეშმარიტად საციკრეულ არს ლმერთი და კურთხეულ არს სახელი წმიდა მისი, რომელმან შენი ლოცვით მტკიცე და შეურყვეველ ჰყო გული ჩემი და თვით სული და განება ჩემი ბნელისაგან გამოიყენა ნათლად, შიმშილისაგან რომ განილიოს ზორცი ჩემი და წყურვილით მოაკლდეს სული ჩემი, აღარ ვზრუნვიდე ამა მოკვადეთა და დაუღვარემელთა ხორცთათვის და არცა ედრტიენიდე მე საზრდელთათვის, როგორც უჩიხი და უჩრწუნო ისრაილი (გამოს. 16, 2—3), არამედ სრულიად დაგემოჩილო და მოხარული ვიმედლოდებ სულით, რომ შენი მაღლით მივემთხვიო ზეციერ სასუფეველს». წმ. ლეითი ამ სიტყვებზე გამხიარულდა და უთხრა ლუკიანეს: «ძეთილი, ძმაო ლუკიანე, კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან განამტკიცა გული შენი და განანათლა სული და განება შენი მის მიერთთა ნათლითა». იმათ განაგრძეს მოღვაწეობა თავის ბინაზე—გამოქვაბულ კლდეში, მუდამ აღდევდნენ ლოცვას ლეთის წინაშე და იყვენ მღვიმარედ; ირმები კი ყოველ დღე მოდიოდნენ მათთან გამოსასრდელად მათდა, გარდა ოთხშაბათ-პარასკევისა, როცა ეს მოღვაწენი არაფერს არ სჭამდენ.

V

იმათ ბინას ქვემოთ იყო გამოქვაბული კლდე, რომელშიაც დამკვიდრებულ იყო ეგვიპტის დიდი და საზარელი; მას ჰქონდა დიდი ადგანბელი თვალები, დიდრონი რქები და ჯაგრის მსგავსი ბალანნი. ჩვეულებისაგან ერთ დღეს ლეითთან მოდიო-

დენ ირმები თავიანთ ნუკრებით. იმათ ამოველით იქ, სადაც ეგვიპტის ბუღობდა და ეგვიპტის მათთვის ერთი ნუკრი მოეტაცნა. ირმებმა მოიბრინეს ლუკიანესთან აღშოთებულგებმა და შეშინებულგებმა. ლუკიანემ ეს გარემოება მიახსენა ლეითს და დაუმატა, რომ ერთი ნუკრი აკლიათო. ლეითმა აიღო თავისი ჯოხი, რომელზედაც იყო ჯვარი, წაიღო იქითკენ, საიდანაც ირმები ამოვიდნენ და იქით-აქეთ იხედებოდა, უნდოდა გაეგო: ვინ შეაშუათა ირმები და მოსტაცა მათ ნუკრი; ამ დროს დაინახა მან საზარელი ეგვიპტის, თუმცა გაუკვირდა მისი სიდიდე, მაგრამ არაფრად ჩააგდო: ლეთის იმედი ჰქონდა და სწამდა, რომ დაიმორჩილებდა მას (მრკ. 16, 18; უსალ. 90, 13). ამიტომ მრისხანედ დაუხახა მას: «ბოროტო თაფორად ანე ჩემ ირმებს და შეჭამე ნუკრი მათი, გამოდი მაქვდგან და წადი უდაბურს ადგილს; ეს უდაბნო კი უნდა იქმნეს ქალაქად მოღვაწეთა ლეთისათა, და უკეთუ არ გამოიხედ, ამ ჯოხზე გაკეთებულ ძრისტეს ჯვარით განვაპო მუცელი შენი და მიჯე შენ საზრდოდ მატლთა». ეგვიპტის შეიპყრო შიშმა, დაემორჩილა ლეითს, გამოვიდა და წავიდა იქიდან, მაგრამ ლეთის განგებით გზაზე ეგვიპტის დედა მისი და მისგან დაკეცებულ ცეცხლმან დასწევა იგი, მსგავსად იმისა, როგორც ძველ აღთქმაში დაწვეა შულისაგან მოვლენილ ცეცხლმან ლეთის წინააღმდეგნი ისრაელნი (რიცხ. 11, 1—3; რიცხ. 16, 35).

(დასასრული შემდეგში).

შინაარსი: თ. გიორგი ერისთავი და მისი ქე ზაქარია, —სოფ. რუფოთის გველესის კურთხევა.—ჩიკაგოში გამართული კოლეჯის მსოფლიო გამოფენა.—ფუფუნება.—აფნაშეთის რუქა.—არ არის რიგი, ღობე-ყორეს ამოვარებული კაცი ტალახს ისრვიდეს.—მცირე შენიშვნა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ლირსი მამა დავით გარესეული.